



საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულო



N 54
 30/06/2017

54-07-4-201706301252



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 განკარგულება №54
 2017 წლის 30 ივნისი
 ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N89 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად,

გადაწყვიტა:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N89 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი, მოწონებული ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა განისაზღვროს დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო

პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)	მ.შ.მომდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	მ.შ. თანადაფინანსება	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სუფსა-გულიანის გზის რეაბილიტაცია	3 000 000	1 045 000,00	55 000,00	01/08/15- 31/12/17	
2 ქალაქ ლანჩხუთის ცენტრის კეთილმოწყობა	708 888	340 945,00	17 943,00	01/12/15- 31/10/17	
3 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შუბუთის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	265 563	109 785,00	5 778,00	01/06/16- 31/08/17	
4 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა	363 326	159 910	8 417	01/06/16- 31/08/17	
5 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა	449 381	312 915	16 466	01/06/16- 31/08/17	
6 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ნიგვზიანში ნინოშვილის სახლ. მუზეუმთან მისასვლელი გზის მოასფალტება	704 661	353 000	18 857	01/06/16- 31/08/17	
7 ქალაქ ლანჩხუთის, ჩიბათის და ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზების რეაბილიტაცია	153 484	93 445	60 039	01/04/17-31/10/17	
8 ლანჩხუთის რაიონი, აცანა_აკეთის დამაკავშირებელ გზაზე ხიდის აღდგენა	22803	21 662	1 141	01/05/17-31/12/17	

	ლანჩხუთის რაიონის, ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში სამანქანე ხიდის მოწყობა	59411	56 440	2 971	01/05/17-31/12/17	
10	ლანჩხუთის რაიონის, ჯურჯუყეთის ადმინისტრაციულ ერთეულში დაზიანებული ხიდის აღდგენა #3	26256	24 943	1 313	01/05/17-31/12/17	
11	ლანჩხუთის რაიონის, ჯურჯუყეთის ადმინისტრაციულ ერთეულში დაზიანებული ხიდის აღდგენა	36894	35 049	1 845	01/05/17-31/12/17	
12	ლანჩხუთის რაიონის, ჯურჯუყეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სამანქანე ხიდის სიგრძით 20მ მოწყობა	88061	83 657	4 404	01/05/17-31/12/17	
13	ლანჩხუთის რაიონის, ნივზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში სამანქანო ხიდის მოწყობა	30047	28 544	1 503	01/05/17-31/12/17	
14	ქალაქ ლანჩხუთისა და მახვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში 5 ქუჩაზე (დუმბაძის ქ., მუსხელიშვილის ქ., სტალინის ქ., ურუშაძის ქ., სამების ქ.)	693 497	658 778	34 719	01/08/2017-30/11/2017	
15	ააიპ სპორტული ცენტრი, გვიმბალაურის საჭიდაო დარბაზის სარემონტო სამუშაოები	51 000	48 447	2 553	01/08/2017-30/11/2017	
	ჯამი	5 908 775	2 665 295	198 230		